ახალი განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

..განთიად შეისმინო ხმისა ჩემისა, განთიად წარვდგე შენდა და გეჩვენო შენ..

2024 წელი 30 სექტემბერი №9 (8208) ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

2024-25 სასწავლო წელი დაიწყო

ვის უხმობს ცოდნის ზარი?

ყველა დროებაში გამოცდილი ქარგაა: მოზარდი თაობის სკოლამდელი და სასკოლო განათლების მოწყობა ის ფუნდამენტია, რომელსაც ეფუძნება ამა თუ იმ ქვეყნის შენება, გაძლიერება, განვითარება. ის ხალხია გონიერი, განსწავლული და ღონიერი, ვისაც ასეთი ბაზისი გამოუყენებია ქვეყნის შენების ქვაკუთხედად, საძირკვლად და ახალგაზრდობის სწავლა-განათლების

სისტემური გამართულობა გადაუქცევია, გაუხდია თავის საქმედ, უპირველეს საზრუნავად და პრიორიტეტად. აკი, სწავლა-სწავლებიდან მოდის ყოველგვარი სიკეთე და სიკეთის მარცვალი. დასტურ, სწავლიდან იბადება ცოდნა.

აგერ, სულ ახლახან, შუაგულ სექტემბერში, კვლავ დაირეკა ზარი საგანმანათლებლო სივრცის ობიექტებში და საცოდნელად კვლავინდებურად უხმო ორივე მხარეს: ცალკე – მომავალი თაობის წარმომადგენლობას, მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობას, და, ცალკე – პედაგოგთა, აღმზრდელთა, განმანათლებელთა დიდ არმიას, ნაცადსა და პროფესიულად განსწავლულს, აკადემიურს, მამულის ხვალინდელობის გზის მეჩირაღდნეს, მარადიულ მეგზურს.

ალბათ, შემთხვევითი თანხვედრილობა კი არა, უფრო ღრმად სიმბოლური აზრი დევს იმაში, რომ კალენდარული სექტემბრის შუალედეტაპიდან აითვლება საეკ-

ლესიო წელიწადი და, აგერ, უკვე, ამ საუკუნის დასაწყისიდან – სასწავლო წლის განახლებული თარიღიც (ანუ, არა სექტემბრის პირველიდან, სწორედაც შუიდან)! შემოდგომის შემობრძანებას ორივე ნამდვილად ამშვენებს და, მერედა, როგორ უხდება, ალამაზებს, სულიერებისა და სწავლების დღესასწაულებად გადაქცევს.

დიახ, 2024 წლის 16 სექტემბრის ორშაბათ დღეს კასპის მუნიციპალიტეტის მასშტაბით აღსაზრდელებს გულისკარი გაუხსნა

კასპსა და სოფლებში მოქმედმა 28 საბავშვო ბაგა-ბაღმა; "ცოდნის დღე" საზეიმოდ აღინიშნა 29 საჯარო სკოლაში, ასევე, კასპის სკოლა-გიმნაზიაში, ტექნოპარკში, პროფესიულ კოლეჯში; მეცადინეობები განახლდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, საფეხბურთო სკოლაში, სამუსიკო და სახელოვნებო სკოლებში.

ნიშანდობლივი ფაქტია, რომ მუნიციპალიტეტის სახელისუფლებო და აღმასრულებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელები ეწვივნენ როგორც სკოლამდელ, ისე სასკოლო დაწესებულებებს, მიულოცეს სწავლების განახლება და სააღმზრდელო და პედკოლექტივებს შემდგომი თანადგომა აღუთქვეს მათთვის რთულ და საპატიო საქმიანობაში. ასევე, "ცოდნის დღის" ზეიმებში ჩართული იყვნენ ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელები, საშეფო და დამხმარე ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე, მშობლები, ძველი კურსდამთავრებულები, ახალთაობელი სტუდენტები. ასეა, ნებისმიერ სასწავლო რგოლს – იქნება უმაღლესი, საჯარო თუ სკოლამდელი ტიპისა – ესაჭიროება საზოგადოებრივი მხარდაჭერა, საქმიანი დაინტერესება და თანადგომა, ბეჭდური მედიის მხრიდან კი სასწავლო დარგის რეკლამირება, ჩვენება, პოპულარიზაცია... ვფიქრობთ, ამას სათანადოდ ემსახურება 93-წლოვანი ადგილობრივი გაზეთი და თავის ფურცლებზე სისტემატურად წარმოაჩენს

სასკოლო ცხოვრებას. აი, ჩვენთვის რამდენადმე მოულოდნელი და სასიამოვნო შემთხვევა: "ახალი განთიადი" წელს საგანგებოდ იყო მიწვეული ქ. კასპის მესამე საჯარო სკოლაში. პატიჟი მადლიერებით მივიღეთ და, ამიტომ, უშუალოდ ვმონაწილეობდით მესამესკოლელთა საზეიმო აქტივობაში. ამ სკოლას

წლევანდელი სექტემბრიდან ახალი დირექტორი ჰყავს – ანა ნემსიაშვილი.

სხვათა შორის, დირექტორთა როტაცია მოხდა კიდევ რამდენიმე სკოლაში: პირველ საჯაროში დირექტორად დაინიშნა ნონა ხოხაშვილი, მეორეში – მარინე ქონიაშვილი, თვალადში – ანა იასაშვილი, ლამისყანაში – შორენა

წიკლაური, ქვემო გომში – ეკატერინე კურტანიძე, კოდისწყაროში – ლალი ნადირაძე, ხოლო აღაიანში – მარინა ქაწაშვილი.

... სადღეისო მოთხოვნებისა და პირობების შესაბამისად განახლებული, აღჭურვილი და ტექნოლოგიურად მოდერნიზებული საჯარო სკოლა, თითქმის 2-წლიანი სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების კეთილად გასრულების შემდეგ, ჩადგა მწყობრში სოფელ მეფისქალაქში (ახალი სკოლის პირველი ზარის დარეკვა ზედ დაერთო ისტორიული სოფლის ძველი სახელწოდების დაბრუნებას).

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით უახლოეს პერიოდში სასკოლო ნაგებობანი აშენდება, ანდა, განახლდება სოფელ იგოეთში, ფერმაში, მეტეხში, ნიგოზაში...

ბოლო 4-5 წლის განმავლობაში ახალი საბავშვო ბაღები გაიხსნა სოფლებში: მეტეხი, იგოეთი, გრაკალი. ამ სასექტემბროდ აღსაზრდელები პირველად მიიღეს ოკმის ახალ, თეზის განახლებულ-რეაბილიტირებულ ბაღებში, ხოლო ამჟამად შენდება მუნიციპალიტეტის 8 სოფელში.

დაბოლოს, მცირე სტატისტიკა: 2024-25 სასწავლო წელს ჩვენს სკოლებში მერხებს მიუსხდა 370 პირველკლასელი, საგაისოდ კი სკოლას დაამთავრებს 339 ახალგაზრდა.

გულითადად გილოცავთ ახალ სასწავლო წელს! წარმატებულ, ნოვაციებით აღსავსე სასწავლო წელს გისურვებთ!

ცეცხლის ხაზზე არ ვდგავართ...



აფხაზეთის ომი, მოვლენა, რომელმაც ათწლეულებით უკან დასწია ქვეყნის განვითარება, დაღუპა მომავალი თაობის საუკეთესო ნაწილი, ომის თაობად აქცია დამოუკიდებელი საქართველოსთვის მებრძოლი და მეოცნებე ახალგაზრდები, მოვლენა, რომელიც დღემდე მოუშუშებელ ტკივილად გვექცა...

სადაგი დღეები ომსაც აქვს. დღე, რომელიც წარსულის გამოცდილებით მომავალს ეხიდება. ჩვენმა გაზეთმა ბევრი ასეთი დღის ქრონიკაში შეინახა.

ქვემოთ გთავაზობთ 1992 წლის 16 სექტემბრის გაზეთ "განთიადში" გამოქვეყნებულ ინტერვიუს კასპის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ, გვარდიის პოლკოვნიკ ტარიელ შარიფაშვილთან.

ჩვენ დღენიადაგ ვეძებთ მასალას ჩვენი დროის გმირებზე, ვუფრთხილდებით ყველა ფოტოს, ყველა ჩანაწერს, ყველა მოგონებას. შემოთავაზებული ინტერვიუც ერთ-ერთი მათგანია.

"ცეცხლის ხაზზე აღარ ვდგავართ - ამბობს კასპის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, გვარდიის პოლკოვნიკი ტარიელ შარიფაშვილი

ორშაბათ დილით იმ დროს შევედით რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის კაბინეტში, როცა ბატონი ტარიელ შარიფაშვილი სოხუმთან ტელეფონით დასაკავშირებლად შეკვეთას აძლევდა კავშირგაბმულობის მუშაკებს. ჩვენი საუბარიც სწორედ ამ ფაქტის კონსტატაციით დაიწყო.

— ბატონო ტარიელ, თუ საიდუმლო არ არის, რატომ უნდა დარეკოთ სოხუმში?

— ყარყარაშვილს უნდა დავუკავშირდე შტაბში და ვაცნობო, რომ დღეს, ორშაბათს, გადაუდებელ საქმეთა გამო, გამგზავრება ვერ შევძლებ და სამშაბათს ჩავალ.

„ცეცხლის ხაზზე აღარ ვდგავართ"

კასპის რაიონის გაზეთი

— სამაჩაბლოში ბატონი გია ყარყარაშვილის სარდლობისას თქვენ მისი მოადგილე იყავით, ახლა?

— ახლაც ასეა. საომარ ვითარებაში ყარყარაშვილის მოადგილეობა მეკისრება, საშშვიდობო სიტუაციაში რაიონში ვბრუნდები. წესით, თითქოს მე არ უნდა ვიღებდე მონაწილეობას აფხაზეთის ამბებში, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩემი გარკვეული გამოცდილების გამო მენდობიან და... მთავრობის დონეზე გადაწყდა ასე. რაიონში როცა არ ვიმყოფები, თავმჯდომარის მოვალეობას ჩემი მოადგილე ასრულებს.

ჩემთვის, რა თქმა უნდა, ძნელია ორმაგი ტვირთი, მიჭირს, მაგრამ, მოგეხსენებათ, როცა სამშობლოს საზღვრების შეუვალობა სათუო ხდება, გამგებელი იქნება თუ დირექტორი, ყველა ერთად უნდა დავდგეთ. ასეც არის, ჩემთან ერთად აფხაზეთში ძალიან ბევრი თანამდებობის პირი იყო, რომელთაც ომის გამო დროებით ყველაფერი გადადეს.

— რას გვეტყვით კასპის ბატალიონის მებრძოლებსა და, საერთოდ, ჩვენი რაიონიდან აფხაზეთში წასულ მოხალისეებზე?

— სამწუხაროდ, მოწინააღმდეგესთან წარმოებულ ბრძოლებში დაგვეღუპა სამი კაცი და დაგვეჭრა ცხრა. ყველაზე დიდი საბრძოლო ოპერაციის დროს მამაცურად დაიღუპნენ კასპელი და ახალქალაქელი მოხალისე ვაჟკაცები — ბადრი ცქვიტიშვილი და გოგი ედიშერაშვილი. დაღუპულთა ოჯახებს მთელი რაიონი მხარში ამოუდგა...

კასპის ბატალიონში ახლა სამოცამდე გვარდიელია. ყველა მათგანი ნამდვილი ვაჟკაცია. ყველას ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ რამდენიმეს დავასახელებ, ვინც განსაკუთრებით ივაჟკაცა, ესენი არიან: გოგიტა ხოსრუაშვილი, თამაზ ჭონიაშვილი, რუზველტ მჭედლიშვილი, კობა გასიტაშვილი, გურამ მაისურაძე, გივი მონასელიძე, გივი გიგაური, ვანო ბატკუაშვილი, ჯონი უთალიშვილი... სხვები და სხვები, ისინი არავითარ შემთხვევაში ფეხს არ გადადგამენ უკან და წარბს არ შეიხრიან. მოხალისეებს რაც შეეხებათ, თითქმის ყველა უკვე წამოვიდა. ამ დღეებში ვინც უწყება მიიღო, ისინი კასპშივე გაივლიან მცირეხნიან საბრძოლო მზადებას, თუ წაყვანა გახდა საჭირო, მხოლოდ გამოცდილ პირებს შევარჩევთ.

— მთელი საქართველო ზრუნავს ეროვნული გვარდიის დასახმარებლად. როგორია კასპის რაიონის წვლილი ამ საქმეში?

— რაიონში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი წარმოება, გარკვეული თანხა რომ არ ჩაერიცხოს გვარდიისათვის, პირადი დანაზოგი შეიტანა ბევრმა მოქალაქემ. მითითება არავის არ სჭირდება, ბევრი ხელმძღვანელი და პიროვნება პირადად მოდის ჩვენთან და დახმარებას გვთავაზობს ალალი გულით.

— თქვენ და გვარდიელები კვლავ იჭერთ სოხუმში წასვლის თადარიგს. რა განაპირობებს ამას?

— უნდა გითხრათ, რომ მდგომარეობა ახლა იქ შედარებით სტაბილურია, მებრძოლი მხარეები პირველ ეტაპზე ერთმანეთს დავშორდით და ჩვენ ახლა უსაფრთხო ზონაში ვიმყოფებით, ცეცხლის ხაზზე აღარ ვდგავართ. თუმცა არავინ იცის, რა მოხდება. საჭიროა თავის დაზღვევა."

ჩაიწერა ამირან ტალახაძემ.

ეროვნული გვარდიის კასპის ბატალიონის გაცილება აფხაზეთში. 1993 წელი, 18 მარტი

გაზეთი "ახალი განთიადი" მადლობას უხდის ვანო ჯახუას მოწოდებული ფოტოებისათვის.

ქალთა გამოფენის მონაწილე

ელენე აფხაზიშვილი თბილისელი მეცხრე კლასის მოსწავლეა. ეს არდადეგები კასპში გაატარა, თავის დედულეთში. ელენეს ჰობი მხატვრობაა. მისთვის დიდი პატივი იყო კასპელ ხელოვან ქალთა საზაფხულო გამოფენაში მონაწილეობა, რომელიც წლევანდელ ივნისში კასპის გიორგი ხორგუაშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოეწყო. ელენემ, გამოფენის ორგანიზატორთა თანხმობით, თავისი ოთხი ნახატი გამოიტანა.

კასპი ელენეს საყვარელი ქალაქია, ისევე, როგორც თბილისი. ის ჩვენებური მენაბდიშვილების ოჯახის შვილიშვილია, ამიტომ გამოფენაზე გულშემატკივრები არ აკლდა. ძალიან ამაყი და გახარებული იყო ბებია – მზია ხოკერაშვილი, რომელიც 20 წელია საბერძნეთში ემიგრანტობს და ახლა კი შვილიშვილის პირველ საჯარო წარდგინებას დაესწრო.

(ფოტოზე – ნორჩი მხატვარი ბებიასა და დედასთან ერთად).

არდადეგებზე – ფუნჯით, მიკროფონით, ცეკვით ...

დიახ, ფუნჯის გამოყენებაც ეხერხება, როგორც ფერწერით გატაცებულს, მიკროფონის მარჯვედ გამოყენებაც, როგორც დეკლამატორსა და სასკოლო ღონისძიების კონფერანსიეს და, თურმე, ლამაზი ცეკვაც!

ვის? – ლიკა ონეზაშვილს – ქ. კასპის მესამე საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეს.

საქმე ისაა, რომ იგი პირველ შემთხვევაში საქალაქო მასშტაბის ღონისძიებაზე დავაფიქსირეთ, როცა თავისი ნამუშევრები გამოეტანა საგანმანათლებლო სივრცის წარმომადგენელთა გამოფენაზე; მეორე-მესამეში კი უკვე არდადეგების გასრულებისას, უფრო ზუსტად, ახალი სასწავლო წლის პირველივე დღეს, როცა თანაკლასელ მეგობართან, მარიამ წიკლაურთან, ერთად წარმართა "ცოდნის დღისადმი" მიძღვნილი საზეიმო მრავალფეროვანი აქტივობა. სადაც, სხვათა შორის, მოხდენილადაც იცეკვა კიდევ ორ მეგობართან ერთად.

"ცისფერი ეკრანიდან" საქართველომ გაიცნო

მესამეკლასელი ლუკა ბუთურიშვილი ნახევრად კასპელია, ნახევრად – გორელი. ეს ხუმრობითაცა და სერიოზულადაც, რადგანაც მართლა ასეა, ლუკამ სკოლამდელი წლები ქ. კასპის პირველ საბავშვო ბაღში იარა, ამჟამად კი ქ. გორის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეა. უკვე ერთი წელია, ჩვენი ლუკა ლიახვისპირა ქალაქის ბავშვთა გუნდში "შავნაბადა" მღერის.

დიახ, ჩვენი ყოჩაღი ლუკა არა მარტო სწავლაშია მოწინავე, არამედ მუსიკალური ნიჭიერებითაც გამოირჩევა. საქმე ისაა, რომ ამ ზაფხულის პერიოდში "ცისფერ ეკრანსაც" გაუშინაურდა. ჯერ იყო და, "პატარების დიდ შოუში" წარმოგვიდგინა მისმა წამყვანმა ცნობილმა მსახიობმა დუტა სხირტლაძემ, მერე კი ტელეკომპანია "იმედის" გადაცემაში იმღერა "ჩარირამა".

აუცილებლად უნდა დავძინოთ ერთიც – 9 წლის ვაჟიშვილის წარმატებებით უზომოდ ბედნიერია მისი დედა – კასპელი ახალგაზრდა ქალბატონი ნათია ილურიძე – ქ. კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი (ამას წინათ მეორე ვადით დაინიშნა ამავე პოსტზე, ახლახან კი დედობრივი ბედნიერება კვლავ განიცადა და სამზეოზე მამულს ასული მოუვლინა).

სამუსიკო სკოლის მთავარი პრიზის მფლობელი

ქ. კასპის სამუსიკო სკოლაში (დირექტორი შორენა შეშაბერიძე) ივნისის ბოლოს ჩატარდა ამავე სკოლის პედაგოგის, მანანა სოზიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური მუსიკალური კონკურსი.

მთავარი პრიზი დაიმსახურა ნიკოლოზ ედიშერაშვილმა.

ნიკოლოზი ქ. კასპის ბესიკ ნიპარიშვილის სკოლა-გიმნაზიის მეშვიდე კლასის წარჩინებული მოსწავლეა.

გზა დავულოცოთ ნორჩ მუსიკოსს, რომლისთვის ასეთი წარმატება პირველი არაა.

ზაფხულის არდადეგების სახსოვარი

დაიწყო ახალი სასწავლო წელი. ეს ნიშნავს, რომ საზაფხულო არდადეგები გავიდა – ვისთვის ჩაიქროლა, ვისთვის გაიწელა. ეს – გამომდინარე იქიდან, ჩვენი გოგო-ბიჭები რას გამოელოდნენ მისგან, რას გეგმავდნენ, სად დაისვენეს და გაერთვნენ, რა მოინახულეს და დაათვალიერეს, სად იყვნენ მუსიკალურ ფესტივალებზე, რომელ გამოფენებში მონაწილეობდნენ... არსებითი და მთავარი ერთია: 2024 წლის საზაფხულო არდადეგების დღეებმა ყველა მოსწავლეს დაუტოვა დაუვიწყარი შთაბეჭდილებები და მოგონებები, ამბავი, ფაქტი, მარად ტკბილად მოსაგონარი საჩუქარი...

"თამარმეფიდან" ... "კვაზიმოდომდე"

დემეტრე ხვთისიაშვილი, კასპის ბესიკ ნიპარიშვილის სკოლა-გიმნაზიის მოსწავლე, არდადეგების დღეებში გახდა მონაწილე დიდი გამოფენისა, რომელიც განახლებული საქალაქო კულტურის სახლის ფოიეში მოეწყო. იქ წარმოდგენილი იყო მუნიციპალური საგანმანათლებლო სივრცის (სკოლების, საბავშვო ბაღების, კოლეჯის, ტექნოპარკის...) პედაგოგ-მოსწავლეთა მრავალფეროვანი ნაკეთობანი, ხელგარჯილობანი.

დემეტრემ იქ გამოფინა თავისი ოთხი ნამუშევარი (ოთხივე ფართოფორმატიანი ჩარჩოთი): "სამება", "ზამთარი", "თამარმეფე" და "კვაზიმოდო".

ნორჩი შემოქმედი თავისი ნახატების სიახლოვეს ტრიალებდა და დაინტერესებულ მნახველს იმასაც უამბობდა, როგორ შექმნა თითოეული, რომელმა შთამაგონებელმა მუზამ უბიძგა კონკრეტული დეტალის შესაქმნელად... (მაგალითად, დიდებული მეფე-ქალის კაბის მოქარგული ოქრომკედის დასახატავად თუ იატაკზე წვერით დაბჯენილი გრძელი ხმლით წარმოსაჩენად).

მშვენიერი მელანო კვლავ შეუდარებელია

სწორედ გასული საზაფხულო არდადეგების პერიოდში იყო ესეც: კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ დააფინანსა და უზრუნველყო ჩვენებური წარმატებული ნორჩი მომღერლის, მელანო ჯანჯალაშვილის, მონაწილეობითი და გამოსვლითი მხარე ქ. კარლოვი-ვარის (ჩეხეთის) სიმღერის საერთაშორისო ფესტივალში.

ასეთ დროს, ასეთი საქმის მოთავენი და მშვენიერი მელანოს მშობლები, პედაგოგები, ყველა გულშემატკივარი დარწმუნებული იყო, იგი ესოდენ მხარდაჭერას გაამართლებდა!

ისე აგიხდეთ ყველა კეთილი მოლოდინი და ჩანაფიქრი, როგორც მელანომ გაახარა დიდი წარმატებით: ფრანც შუბერტის პოპულარული სიმღერის "ავე მარიას" შესრულებისათვის მელანო ჯანჯალაშვილი, ჟიურის გადაწყვეტილებით, კარლოვი-ვარის 2024 წლის ფესტივლის გამარჯვებულია!

ბავშვობაში ნათქვამი ,,ფრთიანი ფრაზები,, დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ ,,ოქროს ფონდში,, თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაურული თავყრილობის მთავარი სახალისო საამბობნი არიან. შეინახეთ თქვენი შვილების საინტერესო წუთები ჩვენს რუბრიკაში ,,ეეხურა,, და გახდით რუბრიკის სტუმარი.

მოდი, ვნახოთ ქართული ფეხბურთი!

ქართველი გულშემატკივრები და გოლმოყვარულები ფეხბურთისაკენ რადიკალურად შემოატრიალა ჩვენებური რამდენიმე ფეხბურთელის გადასვლა-გადაბარგებამ ევროპის წამყვანი ქვეყნების დიდ გუნდებში და იქ გავარსკვლავებამ, ბომბარდირობამ, ლიდერობამ... ამგვარ შემობრუნებას ხელი გარკვეულწილად შეუწყო სანაკრებო დონეზე ეროვნული გუნდის კარგმა თამაშმაც ბოლო ხანებში — ევროპულ ჩემპიონატზე გასვლამ და ჯგუფიდან გაღწევამ, და, უკვე ამ თვეში, სექტემბერში, ერთა ლიგაზე ბრწყინვალე სტარტმა და ოქტომბერ-ნოემბრის თამაშებშიც გაჩენილმა იმედმა, ნატვრამ, სურვილმა იმისა, რომ ქართული ფეხბურთი, დროა, გავიდეს მსოფლიო საფეხბურთო ორბიტაზე! დიახ, დადგა დროება და ქართული ფეხბურთიც შემოვიდა მოდაში!

... მაგრამ რა ხდება აღგილობრივ სივრცეში? — ანუ, აქვე, ჩვენს ქალაქში, სოფლებში, სანარმოებში, უბნებში... ჩვენი სასექტემბრო საფეხბურთო გამოშვების გვერდში სწორედ ამის თაობაზე არის მოთხრობილი.

კასპელი მეცემენტეების „საფეხბურთო სპექტაკლები„ გ რ ძ ე ლ დ ე ბ ა

საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო-სამშენებლო კომპანია "ჰაიდელბერგცემენტ-ჯორჯია" — "ჰანიველცემენტის" 2-დღიანი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიება ა. წ. 31 აგვისტო –1 სექტემბერს გაიმართა ქ. თბილისში, ე. წ. "კუსტბის" მიდამოებში, მინიფეხბურთის სპეციალურ არენაზე.

ეს იყო ხსენებული კომპანიის 2024 წლის შიდა საფეხბურთო ჩემპიონატი. ანალოგიური პირველობები ადრეც მოეწყო, 14 და 13 წლის წინ.

კასპის ცემენტის ქარხნის მუშამოყვარული ფეხბურთელების გუნდი სამივეში მონაწილეობდა. არა, მხოლოდ ამის თქმა, — მონაწილეობდაო, — ცოტაა! საქმე ისაა, რომ კასპელებმა გაასამეს! რაც ნიშნავს იმას, რომ კასპელი მეცემენტეების "საფეხბურთო სპექტაკლი" გაგრძელდა და მესამედაც სრული ანშლაგით ჩაიარა!

მათთვის გზა თბილისის კუსტბამდე, როცა მართლა ლამის მთელი დედაქალაქი უნდა გადაკვეთო თავისი ვაკე-საბურთალოიანად, ნაცნობია 2010 წლიდან. ისინი იმჟამად პირველად ჩაებნენ საწარმოო შეჯიბრებაში და, ყველასათვის მოულოდნელად, ჩემპიონობას უწიეს!

მალევე, 2011 წელს, უკვე მეორე პირველობაში, ამჯერად ქ. რუსთავში, ფავორიტის სტატუსით ჩავიდნენ, რის გამოც მეტოქეები სრული სერიოზულობით მიუდგნენ საქმეს, მაგრამ, ნურას უკაცრავად, ლეხურისპირელები კასპში მეორედაც გამარჯვებულის რანგში მობრუნდნენ.

და, აი, კაი ხნის, ბარე 13-წლიანი "შესვენების" შემდეგ მესამედაც იპირველეს!

ჩემპიონატში პირველობას ერთმანეთს შეეცილა კომპანიის 6 საწარმოს ფეხბურთელ-მოყვარულთა ნაკრები გუნდი: "დედოფლისწყარო", "რუსთავი", "კასპი", "რეალსათაო", "ბეტონი" და "ფოთი".

კასპელებმა ჯგუფში პირველ დღესვე, ორი თამაშის მოგებით პირველი ადგილი დაიკავეს და ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც მეორე დღისათვის დაუწყვილდნენ თავის ჯგუფში მეორეადგილოსან "რეალსათაოს" (გამარჯვება და ფრე). სწორედ საათი კი "სამს" უჩვენებდა, პირველი თამაში ისევ ამათი მონაწილეობით დაიწყო. ჰო, სიცხის ბრალი თუ იყო და, კიდევ, მეტოქე "რეალსათაოს" გუნდისა, რომელიც შეეცადა ყოველნაირად, რაც შეიძლება ნაკლები ბურთი გაეშვა საკუთარ კარში. ჰოდა, ჩარაზა საკუთარი კარის მიდამოები, როგორც იტყვიან "დაცვაში ჩავჯდა" და საწადელს მიაღწია: კასპელებს მხოლოდ კინკილა გოლი გაატანინა. ერთი იყო და, თანაც კენტი, მაგრამ რომ გაილაღეს, რაკი ორივე თამაში დიდი ანგარიშით მოიგეს და ამით მეტოქეებს განაზრახი განუცხადეს: — ჩვენ აქ მხოლოდ მოგებისთვის ჩამოვედით! აბა, სხვას რას გვეუბნება ასეთი ანგარიშები? — 12:0 და 7:2!

მ ე ო რ ე დღესაც, შუადღის თაკარა მზეში, როცა მზე ზენიტში იდგა და კასპელებმა ესოდენ მოკრძალებული ანგარიშითაც გაინაღდეს ფინალი!

მათ ფინალური დაპირისპირება ფოთის "მიმინოს" გუნდთან უფრო შედეგიანად წარმართეს. საქმე ისაა, რომ შავიზღვისპირელებმა ყრუ დაცვას არ მიმართეს და ამან, გარკვეულწილად, ლეხურისპირელების წისქვილზე მიუშვა წყალი. ორივე გუნდი უტევდა, მაგრამ ქართლელ შემტევებს 5-ჯერ გაუმართლა, დასავლეთელებს — ერთხელაც ვერა, ანუ დაფიქსირდა "მშრალი" ანგარიში — 5:0.

გუნდის ამ გადამწყვეტ გამარჯვებაში და საერთო წარმატებაში "ლომის არჩივი" დაიდეს მეკარეებმა ვლადიმერ დარახველიძემ (ძირითადი) და ივა ხითარიძემ (სათადარიგო).

ამდაგვარად, ფოთელების "მიმინომ" შავი ზღვის სანაპიროდან საქართველოს დედაქალაქამდე კი იფრინა, მაგრამ აქაური "კუსტბის" მიდამოებში კასპური ცემენტით აგებულ თანამედროვე ქართლურ ციხესიმაგრეს ვერ გადაუფრინა!

აი, "კასპის" გუნდის შემადგენლობა (მეკარეებზე ზემოთ ითქვა): კაპიტანი —

დასასრული გვ-8.

მიზანი: ხუთეულში მოხვედრა!

გრძელდება საქართველოს საფეხბურთო პირველობის რეგიონული ლიგის გათამაშების მეორე წრის თამაშები. 2 სექტემბრის აქეთ უკვე გაიმართა სამი ტური (ამ თვეში მეოთხე ტურიც მოესწრება). "კასპი — 1936"-მა თავის პირველი თამაში შინ გამართა და კასპის ცენტრალურ სტადიონზე გაგრის "დინამოს" სძლია 3:1-ზე, მეორეში თბილისში აჯობა (ყველასათვის სიურპრიზის სახით!) "სპაერი — 2"-ის გუნდს 2:1-ზე, ხოლო მესამეში კასპში მიიღო გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი — ხაშურის "ივერია", რომელმაც სასექტემბრო შესაძლო 6 ქულიდან მხოლოდ ერთი მიითვალა. ასე რომ, 16 სექტემბრის მატჩი კასპში მეტად პრინციპული მნიშვნელობისა იყო.

"ივერია" მეტად მკაცრი გამომცდელი აღმოჩნდა: მან მასპინძელთა კარი ტაიმებში თითოთითოჯერ დალაშქრა და ქულათა ბალანსი 40-მდე გაზარდა (15 თამაშიდან), "კასპი — 1936" კი 23 ქულით კვლავ მე-6 საფეხურზე დარჩა სატურნირო ცხრილში (8 მოგება, ერთი ფრე, 5 წაგება, ბურთები 30:33-ზე).

გ უ ნ დ ი ს წინაშე მდგომი დღევანდელი რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე, წლევანდელ საფეხბურთო სეზონში, რომელიც მისთვის რიგით მეხუთეა, სწორედაც რომ საუკეთესოთა 5-ეულში მოსვედრას უნდა შეეცადოს!

მუნიციპალური პირველობა მინიფეხბურთში

წლევანდელ 12 სექტემბერს დაიწყო მუნიციპალური პირველობა მინიფეხბურთში (7 X 7).

კასპის ცენტრალური სტადიონის ხელოვნურსაფარიან მშვენიერ მოედანზე ჩემპიონობა-პრიზიორობისათვის საასპარეზოდ ჩაება ქ. კასპის 6 უბნისა და 12 სოფლის ნაკრები (მეფისქალაქი და ოკამი 2-2 გუნდითაა წარმოდგენილი).

ტურნირის ორგანიზატორია კასპის სპორტდაწესებულებათა გაერთიანება (დირექტორი შოთა გოგიაშვილი) და კასპის საფეხბურთო სკოლა (დირექტორი ბექა დაბრუნდაშვილი), ხოლო მხარდამჭერი — კასპის მუნიციპალიტეტის მერია და მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური.

დაწესებულია ჯილდოები და პრიზები ტურნირის როგორც გუნდური მიღწევებისათვის, ასევე, ცალკეული ნომინაციების მიხედვით: საუკეთესო მოთამაშეებისათვის (ჩემპიონი — ათასი ლარი, მეორე პრიზიორი 800, ხოლო მესამე პრიზიორი 600 ლარი).

პ ი რ ვ ე ლ ი ეტაპის მატჩებში, ოთხი დღის განმავლობაში, დაფიქსირდა რამდენიმე დიდანგარიშიანი და მინიმალურანგარიშიანი თამაში,

მაგალითად, თვალადი — ქეჩარუხი –2 (10:2), მეტეხის დასახლება — სამთავისი (10:2), რენე — განთიადი (11:3) და, ასევე, კასპის და კროკეტა-მეფისქალაქის "პანიკა" (2:2, პენალტებით 5:4), ქეჩარუხი-1 — კასპის აპიელი (3:2)...

(საბოლოო შედეგებზე — ოქტომბრის გვერდის გამოშვებაში).

სოფლის პირველობა 8 გუნდის მონაწილეობით

კავთისხევში, სასოფლო პირველობაზე, გამარჯვებისათვის ასპარეზობდა 8 უბნის გუნდი: ზავრადაანთა, ჯანჯალაანთა, თვალადელთა, იდლელთა, ჩოჩელთა, შუაუბნისა, ციხისუბნისა და სასირეთისა (სტუმარი).

სოფლის ჩემპიონი ფინალურ მატჩში გამოვლინდა პენალტების სერიის შედეგად. გამარჯვება შუაუბნელებმა დაინარჩუნეს.

აფხაზეთის ომის (1992-1993 წწ) შედეგად დაიღუპა 20,000-დან 30,000-მდე ეთნიკური ქართველი, ხოლო 250,000-ზე მეტი ადამიანი აფხაზეთიდან ლტოლვილი გახდა. კონფლიქტის განმავლობაში ჩადენილია უამრავი სამხედრო დანაშაული, მათ შორის ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა. მოკლული იქნა 2,500-დან 4,000-მდე აფხაზი, 20,000 აფხაზი კი ლტოლვილად იქცა.

პოსტსაბჭოური საქართველოსთვის კონფლიქტის შედეგები ძალიან მძიმე აღმოჩნდა. ქვეყანამ მიიღო უდიდესი მსხვერპლი, უმძიმესი ფინანსური და ფსიქოლოგიური ზიანი. ომმა და ომის შემდგომმა უწესრიგო შეტაკებებმა აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად გააპარტახა. დღესაც აფხაზეთის რეგიონი, რომელიც საქართველოსგან დე ფაქტო დამოუკიდებლობით სარგებლობს, მძიმე სოციალური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას. მიუხედავად თვითგამოცხადებული დამოუკიდებლობისა, აფხაზეთის რეგიონი მთლიანად დამოკიდებულია რუსეთის ფედერაციაზე. როგორც თვით აფხაზები აცხადებენ, რეგიონი რუსეთის ფედერაციის დე ფაქტო პროტექტორატია.

აფციაური შმაგი

1974 წლის 12 იანვარი - 1992 წლის მარტი. (მეტეხის რკინიგზის სადგურის დასახლება).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.



ბახტაძე ბადრი

1975 წლის 11 მაისი — 1993 წლის 26 ივნისი. ქ. კასპში არის ბადრი ბახტაძის ქუჩა.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.



ბეინაშვილი გელა

1972 წლის 29 სექტემბერი (სოფ. ლამისყანა, კასპის რაიონი) — 1993 წლის 9 მარტი (აფხაზეთი, ლაბრა).

ბეინაშვილი მამუკა

1973 წლის 7 სექტემბერი (სოფ. ლამისყანა, კასპის რაიონი) — 1993 წლის პირველი სექტემბერი (აფხაზეთი, ეშერა).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.



ბროლაძე მამუკა

1972 წლის 22 თებერვალი (სოფ. ახალქალაქი, კასპის რაიონი) — 1992 წლის 13 აპრილი (დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას).

გეთაშვილი მერაბი

1970 წლის 3 სექტემბერი (სოფ. ქვემო ჭალა, კასპის რაიონი).

1993 წლის პირველი მარტიდან მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში. მიჩნეულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად.



დეისაძე ვაჟა

1964 წლის 15 ივნისი (სოფ. ქვემო გომი, კასპის რაიონი).

მიჩნეულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად.

ედიშერაშვილი ზურაბი

1955 წლის 2 ოქტომბერი (სოფ. ახალქალაქი, კასპის რაიონი) — 1992 წლის პირველი სექტემბერი (აფხაზეთი, ეშერა).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

თათარაშვილი გელა

1974 წლის 17 ივლისი (სოფ. ოკამი, კასპის რაიონი) — 1993 წლის 27 სექტემბერი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).



თათრიშვილი გოჩა

1962 წლის 27 სექტემბერი (ქ. კასპი) — 1993 წლის 27 სექტემბერი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.



ირემაშვილი გელა

1970 წლის 23 სექტემბერი (სოფ. იდლეთი, კასპის რაიონი) — 1993 წლის 6 ივლისი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

ირემაშვილი გიორგი

1962 წელი (სოფ. იდლეთი, კასპის რაიონი) — 1993 წლის 6 ივლისი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

ქ. თბილისში არის გიორგი ირემაშვილის ქუჩა.

კალატოზიშვილი მორისი

1967 წელი (სოფ. მეტეხი, კასპის რაიონი) — 1993 წლის 28 აპრილი (დაკრძალულია მშობლიურ სოფელში).

კაპანაძე გიორგი

1972 წლის 3 ნოემბერი (ქ. კასპი) — 1993 წლის 25 ნოემბერი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).



კობაური ვასილი

1962 წელი (სოფ. ლამისყანა, კასპის რაიონი).

მიჩნეულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად.



ლაფერაშვილი კახა

1973 წლის 8 იანვარი (სოფ. ბარნაბიანთკარი, კასპის რაიონი) — 1992 წლის 2 ოქტომბერი (აფხაზეთი, ქ. გაგრა).

მიჩნეულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად.

ლაფერაშვილი ზაქარია

1958 წლის 30 სექტემბერი (სოფ. ბარნაბიანთკარი, კასპის რაიონი) — 1993 წლის 9 იანვარი (აფხაზეთი, ქ. ოჩამჩირე).



ლაცაბიძე გაგი

1964 წლის პირველი ნოემბერი (სოფ. კავთისხევი, კასპის რაიონი) — 1992 წლის 27 დეკემბერი (აფხაზეთი, მერკულა).

დაჯილდოებულია მედლით "მხედრული მამაცობისათვის". სოფელში არის მისი სახელობის ქუჩა



მამულაშვილი ოთარი

1973 წლის 17 იანვარი (სოფ. სასირეთი, კასპის რაიონი) — 1991 წლის 22 დეკემბერი).

მამულო, სიცოცხლეო!



მანჯიკაშვილი ზურაბი
1972 წლის 30 აპრილი (სოფ. ქვემო ჭალა, კასპის რაიონი) – 1992 წლის 27 სექტემბერი (აფხაზეთი, ტამიში).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

მარიდაშვილი ზაზა
1973 წლის 23 ივლისი (სოფ. ქვემო გომი, კასპის რაიონი) – 1992 წლის 10 დეკემბერი (აფხაზეთი, ეშერა).



მიქუტიშვილი ჯუმბერი
1947 წლის 18 აპრილი (სოფ. ხოვლე, კასპის რაიონი) – 1993 წლის 13 თებერვალი (ლაბრა).



მუხათგვერდელი მორისი
1972 წლის 26 მარტი (სოფ. აღაიანი, კასპის რაიონი) – 1992 წლის 27 სექტემბერი (აფხაზეთი, ტამიში). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.



ნაცვლიშვილი ზურაბი
1973 წლის 25 თებერვალი (სოფ. ქვემო ჭალა, კასპის რაიონი) – 1993 წლის 18 აგვისტო (აფხაზეთი).



ოთარაშვილი ბესიკი
1969 წლის 22 თებერვალი (სოფ. ქვემო ჭალა, კასპის რაიონი) – 1992 წლის 18 ივლისი (სამაჩაბლო).



პაპუაშვილი ვახტანგი
1973 წლის 19 სექტემბერი (სოფ. იგოეთი, კასპის რაიონი) – 1992 წლის 21 აგვისტო (აფხაზეთი, კელასური).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

ფეიქრიშვილი ალექსანდრე
1954 წლის პირველი ნოემბერი (სოფ. ზემო ხანდაკი, კასპის რაიონი) – 1992 წლის 18 სექტემბერი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.



ქართველიშვილი რომანი
1950 წელი (სოფ. ლამისყანა, კასპის რაიონი) – 1993 წლის 6 ივლისი (აფხაზეთი ქ. სოხუმი).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

ქ. თბილისში არის რომან ქართველიშვილის ქუჩა.

ქსოვრელი სერგო
1959 წლის 13 მარტი (სოფ. იდლეთი, კასპის რაიონი) – 1993 წლის 6 ივლისი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

ქ. თბილისში არის სერგო ქსოვრელის ქუჩა.



შერმადინი შერმადინ
1975 წლის პირველი იანვარი (სოფ. თეზი, კასპის რაიონი) – 1992 წლის 4 ივლისი (აფხაზეთი).

ცუცუნაშვილი კობა
1960 წლის 9 ნოემბერი (სოფ. ლამისყანა, კასპის რაიონი).

მიჩნეულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად.

ცქვიტიშვილი ტარიელი (ბადრი)
1967 წლის 27 აგვისტო (ქ. კასპი) – 1992 წლის პირველი სექტემბერი (აფხაზეთი, ეშერა).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

ხაბალაშვილი მერაბი
1956 წლის 28 მარტი (ქ. კასპი) – 1993 წლის 9 ნოემბერი (სამეგრელო, ქ. ზუგდიდი).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.



ხეტეშვილი ივანე
1961 წლის 11 თებერვალი (სოფ. თეზი, კასპის რაიონი) – 1993 წლის 23 სექტემბერი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

ხეჩიკაშვილი კობა
1973 წლის 21 აგვისტო (სოფ. დოესი, კასპის რაიონი) – 1993 წლის 21 სექტემბერი (აფხაზეთი).

ხოკრიშვილი ნიკოლოზი
1961 წლის 14 მარტი (ქ. კასპი) – 1993 წლის 22 სექტემბერი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით. ქ. კასპში არის ნიკოლოზ ხოკრიშვილის ქუჩა.

ჯაბაური დავითი
1969 წლის 24 ივლისი (ქ. კასპი) – 1993 წლის პირველი მარტი (აფხაზეთი, ლაბრა).

საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის საარქივო ფონდში

ვანო ჯახუა

საუკუნის ბევრი ქართველი სახელმწიფო თუ საზოგადო მოღვაწის შესახებ მწირი ან შეცდომით გავრცელებული ინფორმაცია არსებობს საჯარო სივრცეში. ადამიანები ხშირად ვიღაცის მონაყოლს ან გადმოცემებს ეყრდნობიან, რაც არასწორია. ეს ყველაფერი კი იმის გამო ხდება, რომ ჯერ კიდევ ბევრი საარქივო მასალა შეუსწავლელია, რასაც თავისი მიზეზები აქვს.

ბევრმა თქვენთაგანმა იცის, რომ წლებია ვიკვლევ კასპის ისტორიულ წარსულს სხვადასხვა მიმართულებით. ერთ-ერთი ჩემი საკვლევი თემა გახლავთ დღევანდელი კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ის ეკლესიები, რომლებიც 1819-1921 წლებში მოქმედი იყო, იქ მოღვაწე სასულიერო პირები, მათი ბიოგრაფიები, კონკრეტულ ეკლესიაში, კონკრეტულ წელს დაბადებულთა, ჯვარდაწერილთა და გარდაცვლილთა შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვება.

აღნიშნულ მასალებს ვაგროვებ საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულ საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის საარქივო ფონდში არსებულ მეტრიკულ ჩანაწერებზე დაყრდნობით.

მინდა გითხრათ, რომ მასალა არის ძალიან მოცულობითი, რომელსაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება დასამუშავებლად. ამ ეტაპზე, მოძიებული მაქვს 25-მდე ეკლესიის შესახებ არსებული საარქივო მასალა, ინფორმაცია ამ ეკლესიებში მოღვაწე მღვდლების, მედავითნეების, მეფსალმუნეების შესახებ.

კვლევის დასრულების შემდეგ, აღნიშნული ინფორმაცია გამოიცემა წიგნად.

დღეს მინდა ერთი პიროვნების შესახებ მოგაწოდოთ საინტერესო ინფორმაცია, რომელიც სწორედ ამ საეკლესიო ჩანაწერებიდან გახდა ჩემთვის ცნობილი. ეს გახლავთ ამირინდო ამირინდოს ძე ამილახვარი, რომელიც დაიბადა 1848 წლის 9 ივლისს სოფელ კასპში.



კასპის გალავნის აღმოსავლეთი და ნაწილობრივ სამხრეთი ნაწილი ფოტოსურათზე — მარჯვნივ სათონის ზემოთ.



კასპის გალავნის აღმოსავლეთი კედლის ნაწილი და კოშკი.

№ 248 ოქტომბერი 15, შაბათი 1886 ოქტომბერი 15 შაბათი № 248

ივერია

1877—1886 წელიწადი სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

მაგალითად, ერეკლეს ბაღიდან ... ...

ყანჩელი მეცემენტეების „ცვეტბურთი ჩემპიონები“ გრძელდება

დასასრული დასაწყისი იხ. გვ -4.

მერაბ მერებაშვილი, მინდვრის მოთამაშეები – ალექსანდრე გოგიაშვილი, გიორგი გოგიაშვილი, ლევან გეჯაძე, ლაშა ჯაბაური, ლაშა მამულაშვილი, ონისე ონიაშვილი, ვეფხვია სამხარაძე, ვახტანგ ჩხეიძე, ამირან უჩუმბეგაშვილი, არჩილ ჩუთლაშვილი და ტატო მეშველაშვილი;

გუნდის მწვრთნელი – გივი ბეგლარაშვილი, ორგანიზატორი – ზურაბ გაგუა, ქარხნის მენეჯერი – მიხეილ კიტრიაშვილი.

ამრიგად, 3-გზის ჩემპიონს კუთვნილი პრიზები და ნომინაციური პრიზები გადასცა კომპანიის გენერალურმა დირექტორმა დავით ჯუღაშვილმა. ჩვენი გუნდის კაპიტანმა ორი თასი ჩაიბარა (ერთი – სამუდამო მფლობელობაში, მეორე – გარდამავალი). პირველობის გოლეადორი გახდა კასპელი ონისე ონიაშვილი (6 გოლი). საამისო თასთან ერთად მანვე ირგუნა მეორეც, რადგანაც პირველობის მომწყობმა საორგანიზაციო ჯგუფმა სწორედ იგი აღიარა ტურნირის ყველაზე ტექნიკურ მოთამაშედ.

ბრავო, კასპელებო!

ჩვენო გვმორჩილოვლო ერთგულო, ცვეკვერილო, ლიერცოლო, ცვიმედო, გულიანნო! ვერ მოგვიმეტლო შენი იმედი... მადლობა ყველაფერისთვის. ყოველთვის ვიყავით ამაყნი, რომ ნინო ვლაპიშვილი ჩვენი ლიდერ იყო.

გილოცავთ ცვიყბილოდ ლაბალებინ ლიერ! შეგვრძელობა მრავალჟამიერ!

შვილები

„მზის ცხვილ“ გოგონებმა გაიბრწყინეს

წლევანდელი ივლისის ბოლო დღეს, მართლაც, გაიბრწყინეს ქ. კასპის სამეჯლისო-სპორტული ცეკვების სტუდია “მზის სხივის” გოგონებმა (ხელმძღვანელი – გიორგი მჭედლიშვილი). თანაც, უცხოურ საფესტივალო სცენაზე, კერძოდ, საბერძნეთის ქ. სალონიკში.

მზისსხიველებმა სხვადასხვა სინჯის მედლები ჩამოირიგეს კომპეტენტური ჟიურისაგან: მარიამ ბექაურმა ოქროსა და ბრინჯაოს მედლები ირგუნა, ნინი ცქვიტიშვილმა – ოქროსი, მარიამ მაისურაძემ – ვერცხლისა, ხოლო ანასტასია ბაინდურაშვილმა – ბრინჯაოსი.

... ამავე სტუდიის წევრები ივლისშივე მონაწილეობდნენ ქ. ბათუმის “მერიის თასი – 2024”-ის ქართული ცეკვის საერთაშორისო ფესტივალში. იქაც წარმატებულად გამოვიდნენ სხვადასხვა კატეგორიაში.

ოთხლო-მცდელობის შეცვლილია

„ახალი გაზეთი, ეძებს ცალიერებლ ადგილებს ჩვენი ქალაქის ცვგაზეთი ოთხლო-მცდელობის შეცვლილია. მოგვერთვეთ თხოვნით - ლაბალეთ თქვენი ყველა მცდელობაში! გვმოგვიგზავნეთ ცალიერებლ ოთხლები!

აღაიანელმა პატარებმა „დინამოს“ აკადემიის თანატოლებს სძლიეს

სოფელ აღაიანში, უკვე 2,5 წელია, რაც მოქმედებს საფეხბურთო ჯგუფები, რაც შესაძლოა, მომავალში სასოფლო სკოლის შექმნის საფუძველი გახდეს.

ესოდენ კარგი საქმის წამომწყები და წარმმართველია ენთუზიასტი მწვრთნელი იოსებ მამულაშვილი.

ახლახან აღაიანელმა ნორჩმა ფეხბურთელებმა (2014-წლიანთა გუნდი) ქ. თბილისში ამხანაგურ მატჩში დაამარცხეს “დინამო თბილისის” საფეხბურთო აკადემიის თანატოლები (ანგარიშით 3:1).

მათვე ერთი თვის წინ სოფელ თელიანის საფეხბურთო ღია პირველობის ჩემპიონობა მოიპოვეს.

გამოდის, რომ მათთვის “უცხო მოედნის ფაქტორი” არ მოქმედებს.

ჩვენი საყვარელი პატარები!

დღენიადაგ ვცდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სურთ!) რომ გიამბონ. თქვენ ახლა უფრო ბევრი იცით ვიდრე შარშან და თუ ხშირად ნაკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ საყვარელ ზღაპრის თუ მულტფილმის გმირებზე, მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ ატრაქციონებზე, ნუალტვეში სასახლეებსა და ალპებში “დამალულ” საგანძურზე... წინ მოულოდნელად საინტერესო შეხვედრები გელოდებათ, ოლონდ ამისათვის აუცილებლად უნდა გამოინეროთ ჩვენი გაზეთი

თუ გსურთ ჩვენი გაზეთის ხელმომწერი გახდეთ, მობრძანდით რედაქციაში! გაიფორმეთ ხელმონერა, დატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს თქვენს საყვარელ რუბრიკაში

ბუბრიკა – წელიწადის ძეხუთე დრო ელოდება თქვენს გამოხმაურებას. მობრძანდით რედაქციაში. გაეგაცანით თქვენი ნამუშევრები (წარმოადგინეთ ელექტრონული ვერსია) და გააცანით ისინი ბოლოდროინდელ.

შეგიძლიათ, მიგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში

გაზეთი „ახალი გაზეთი“ თანაუგრძნობს რიმა ზურაბიანს მეუღლის ემზარ მუკბანიანის გარდაცვალების გამო.

გვმოიწერეთ “ახალი გაზეთი”! გვახლოთ ჩვენი მკითხველები!

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამის გასთავსებისთვის 2024 წლის 30 აგვისტოდან - არჩევნების შედეგების შეჯამებამდე გამოყოფილია გაზეთის ფართობი.

გაზეთის ერთ ნომერში გამოყოფილი ფართობის სიდიდე შეადგენს 3680 სმ²; მთლიანად გამოყოფილი ფართობის უფასო ნაწილის სიდიდე შეადგენს 1840 სმ² A3 ფორმატის ჩანართის ღირებულებაა 368 ლ (1სმ² 40 თეთრი).

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი სააკაძის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76